

*თვითმმართველი ერთეულის დასახელება:* ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

*საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:* დიმიტრი ჭეიშვილი

*საკრებულოში დაკავებული თანამდებობა:* ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

*ფრაქციის წევრობა:* ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო

*კომისიის (კომისიების) წევრობა:* ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

*არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით)* ბათუმის 79 ოლქის პროპორციული წესით.

*საანგარიშგებო პერიოდი:* 2018 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის სექტემბრის ჩათვლით

---

**განხორციელებული საქმიანობები:**

**1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც ვმონაწილეობდი:** საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მოწვეული და ჩატარებული იქნა ოთხი საკრებულოს სხდომა, აღნიშნულ სხდომებში იგულისხმება, როგორც მორიგი ასევე რიგგარეშე საკრებულოს სხდომები, ჩემს, მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მიღებული იქნა საკრებულოს ყველა სხდომაში მონაწილეობა.

**2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოს მიერ განხილული იქნა 22 განკარგულებისა და დადგენილების პროექტი.

**3. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჩემს მიერ ყველა საკითხი იქნა მხარდაჭერილი.

**4. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის რანგში მოწვეული და ჩატარებული იქნა 3 კომისიის სხდომა, განხილული იქნა რამოდენიმე საკითხი ჯანდაცვისა და სოციალური კუთხის

მიმართულებით. რაც შეეხება ჩემს მონაწილეობას იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის მუშაობაში, სულ მაქვს მონაწილეობა მიღებული 3 სხდომაში.

**5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიას განხილული აქვს 4 პროგრამა და 27 ქვეპროგრამა.

**6. საკითხები, რომლებსაც კომისიების სხდომებზე მხარი არ დაუჭირა ანგარიშის წარმდგენმა**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, წარმოდგენილ ყველა საკითხს წარმდგენმა მხარი დაუჭირა.

**7. ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები**

აღნიშნულ პერიოდი განმავლობაში ჩემს მონაწილეობით არ მომზადებულა დადგენილების ან განკარგულების პროექტი, თუმცა მქონდა რამოდენიმე ინიციატივა, რომელიც მოწონებულ იქნა კომისიის წევრების და მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ.

**8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა**

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ყოველდღიურად ხორციელდება შეხვედრები მოსახლეობასთან ქალაქ ბათუმის მუნიციპალირეტის საკრებულოს შენობაში.

**9. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა**

ყოველდღიურად 7-8 მოქალაქე

**10. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები**

მოქალაქეები ძირითადად მხვდებიან ჯანმრთელობისა და სოციალური კუთხით წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით.

**შედეგი:**

შედეგი და ეფექტი განისაზღვრა კონკრეტული მოქალაქეებისათვის ინდივიდუალური დახმარებების აღმოჩენის კუთხით.

**შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:**

საკრებულოს წევრის კანონმდებლობით მონიჭებული უფლება მოვალეობის შესრულება, ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე, მათი პრობლემების მოგვარება ჯანმრთელობისა და სოციალური კუთხის მიმართულებით. ძირითადი პრობლემატური საკითხების შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს სხდომაზე საკითხების დაყენების გზით.